შეტყობინება
ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების მონაწილეებისათვის დამატებითი ინფორმაციის მოწოდების შესახებ

ს/ს „სარაჯიშვილი“ იწვევს თავის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, განსახილველ საკითხებზე რომელიც ჩატარდება 2023 წლის 11 ოქტომბერს 14:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N 4.

აქციონერებს საერთო კრების დანიშვნის შესახებ ეცნობათ განცხადების გამოქვეყნების გზით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე შექმნილ ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის ელექტრონულ მისამართზე და ს/ს „სარაჯიშვილის“ ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით.

საერთო კრების მოწვევის თარიღისათვის ს/ს „სარაჯიშვილში“ განთავსებულია სრულად ნებადართული ჩვეულებრივი აქციები, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1 813 667 (მილიონ რვაასცამეტი ათას ექვსასსამოცდაშვიდი) ცალს. ვინაიდან ს/ს „სარაჯიშვილს“ სხვა სახის აქციები არ აქვს, საერთო კრებაზე ხმების საერთო რაოდენობა შესაძლებელია იყოს 1 813 667 ხმა

აქციონერთა საერთო კრებას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

1. წესდებაში შესატანი ცვლილებების გადაწყვეტილების პროექტი;
2. აქციონერთა საერთო კრების ჩატარების დღისათვის კონსოლიდირებული წესდების პროექტი;
3. აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების პროექტი.

აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის მიცემა დაშვებულია აქციონერის იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს სათანადოდ გაფორმებულ მინდობილობას აქციონერთა საერთო კრების დაწყებამდე.

დანართი: ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები.

ს/ს „სარაჯიშვილის ხელმძღვანელი პირი

გენერალური დირექტორი: _____ ზურაბ ბუბუტეიშვილი